ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**g-73. 73242432**
თარიღი:**30/08/2024**

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი შენობების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის~ 45-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილების და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის‘‘ 61-ე მუხლის საფუძველზე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1

დამტკიცდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის მორიგი 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი შენობების თანდართული ნუსხა (დანართი №1).

მუხლი 2

საარჩევნო ღონისძიებების ჩატარებისას ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით დაცული უნდა იყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო მოთხოვნები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციები.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2021 წლის 02 ოქტომბრის არჩევნებისთვის მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი შენობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 06 აგვისტოს №73.73212183 განკარგულება.

მუხლი 4

განკარგულება გადაეგზავნოს №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 5

განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 6

ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: საჩხერე, აღმაშენებლის ქ.№3) განკარგულების ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ალექსანდრე ციცქიშვილი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი